დოქ. ბაბალითის ოქბაში

თაღლითობა

بسم الله الرحمن الرحيم

დიანეთის საქმეთა სამმართველოს გამომცემლობა:1583
ჯიბის წიგნები:130

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი muslim-georgia

ბეჭდვითი მონიტორინგი
დოქ. ფატიჰ ქურთი

კოორდინატორი
ლოქმან არსლანი

გამოცემისთვის მოამზადა
უღურ ალთინთოფი

ნაწარმოების განმხილველი კომისიის გადაწყვეტილება:
20.02.2019/16

ISBN: 978-605-7519-39-9
2019-06-Y-0003-1583
სერთიფიკატის ნო: 12930
1. გამოცემა, ანკარა 2019

გამოცემა
Başak Mat. Tanı. Hiz. İth. İhr. Tic. Ltd. Şti.
+90 312 397 16 17

© თურქეთის რესპუბლიკის რელიგიის საქმეთა სამმართველო

საკონტაქტო ინფორმაცია
რელიგიური პუბლიკაციების გენერალური სამმართველო
უცხო ენასა და დიალექტებზე საგამომცემლო სამმართველო

Dini Yayınlar Genel Müdürlüğü
Yabancı Dil ve Lehçelerde Yayınlar Daire Başkanlığı
Üniversiteler Mah. Dumlupınar Bulvarı
No:147/A 06800 Çankaya/Ankara/TÜRKİYE
ტელ: +90 312 295 72 81
ფაქსი: +90 312 284 72 88
e-posta: yabancidiller@diyanet.gov.tr

თაღლითობა

დოქ. ბაბათინი აქბაში

თურქეთის რესპუბლიკის რელიგიის საქმეთა სამმართველო

სარჩევი
რწმენის პირობები

წინასიტყვაობა • 5

შესავალი • 9

თაღლითობა, როგორც ზნეობრივი პრობლემა • 10

რწმენის მიმართ თვალთმაქცობა • 22

სიტყვიერი თაღლითობა • 26

შეთანხმებისა და ხელშეკრულების • 29

დროს თვალთმაქცობა • 29

საბუთების გაყალბება • 30

წარმოებაში, ვაჭრობასა და ყიდვა-გაყიდვის დროს
თაღლითობა • 32

ქცევა • 42

სიყალბე აკადემიურ სფეროში • 46

ყალბის ანტონიმი, ჭეშმარიტება • 48

და ბოლოს • 50

წინასიტყვაობა

ადამიანი საზოგადოების ნაწილია. ერთიან სივრცეში მცხოვრები ადამიანები ვალდებულნი არიან იცოდნენ ინდივიდის უფლებება- მოვალეობები და პასუხისმგებლობის გრძნობით უნდა მოქმედებდნენ, რათა ადამიანთა შორის მშვიდობა და ბედნიერება იქნას უზრუნველყოფილი. პასუხისმგებლობის შეგნება პიროვნებამ, უპირველეს ყოვლისა საკუთარით უნდა დაიწყოს. პირადი პასუხისმგებლობის გრძნობა ვისაც გააჩნია, მან ოჯახისა და საზოგადოების წინაშე არსებული პასუხისმგებლობაც იცის და დაკისრებულ მოვალეობასაც ასრულებს.

„ნუთუ ეგონა ადამიანს, რომ უპასუხისმგებლოდ იქნებოდა მიტოვებული?“

ქიამეთ სურას 36-ე აიათი მიგვითითებს, რომ ადამიანი პასუხისმგებლობის მატარებელი არსებაა.

„მერე იმ დღეს,აუცილებლად მოგეკითხებათ, რაც გებოძათ!“

თექასურის სურას მე-8 აიათი კი გვიჩვენებს, რომ ადამიანს, უპირველეს ყოვლისა გონება და სხვა მრავალი წყალობა ებოძა და ამის საპასუხოდ, გარკვეული ვალდებუ-

ლებები დაეკისრა, რომელიც შეძლებიდაგ-ვარად უნდა შეასრულოს.

საზოგადოების სიმშვიდეს, უმთავრესად გაურკვევლობა არღვევს, ყველას გვეკის-რება პასუხისმგებლობა, რათა ადამიანის ღირსებისთვის შესაფერისი მომავალი შე-ვიქმნათ. ცხადია, რომ დღეს ჩვენს საზოგა-დოებაში მრავალი გაურკვეველი საკითხი არსებობს.

დღეისათვის მსოფლიო საზოგადოების მომავალს მრავალი საფრთხე ემუქრება. ესენია: შიმშლი, სიღარიბე, გარემოს დაბინ-ძურება, ბუნებრივი კატასტროფები, სოცია-ლური უთანასწორობა, არათანაბარი პირო-ბები, ზნეობრივი დაცემულობა, სულიერი სიმდაბლე, მატერიალური მიდრეკილებები, ურწმუნოება, ბოროტება, არასაკმარისად ჯანსაღი გარემო, გაურკვევლობა განათლე-ბისა და სამართლიანობის სფეროში, ისტო-რიული და კულტურული ღირებულებების განადგურება და სხვა. გარდა ამისა, ამ ყვე-ლაფერს ემატება ადამიანებს შორის დია-ლოგის. ტოლერანტობისა და შემწყნარებ-ლობის შემცირება, განსხვავებული აზრის დევნა და ტერორი.

ყველა ეს საკითხი არა კონკრეტული რე-გიონის ან ერისთვისაა დამახასიათებელი, არამედ მთელი მსოფლიოს მოსახლეობა

რაღაც ფორმით, გაურკვევლობაშია ჩაფ-
ლული. ამ საკითხების მოსაგვარევლად კი
ხალხებს შორის ურთიერთობის გაღრმავე-
ბა და საერთაშორისო მნიშვნელობის ქმე-
დითი მიღწევების ძიებაა საჭირო.

სინამდვილეში, უმთავრესი არის ის, რომ
ჩვენს ხელთ არსებულ ღირებულებებს ვერ
ვამჩნევთ და შესაბამისად ამ ღირებულებე-
ბით არ ვცხოვრობთ. გამომდინარე აქედან,
ჯერ ეს ღირებულებები უნდა აღმოვაჩინოთ
და ყოველდღიურობაში დავნერგოთ. უეჭვე-
ლია, რომ ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვა-
ნი ღირებულება ისლამია, რომელიც რამ-
დენიმე ათეული საუკუნის განმავლობაში,
კაცობრიობას გზას უნათებს.

დღეს, ადამიანის შესაძლებლობების გან-
ვითარების მიზნით შემუშავებული ფსიქო-
თერაპიის მეთოდების ქმედითუნარიანობი-
სათვის, ეკოლოგიური პრობლემების, ნარკო-
მანიის წინააღმდეგ ბრძოლის და სხვა მს-
გავსი გამოწვევების წინააღმდეგ რელიგიის
მნიშვნელობა აშკარაა. ისლამს გააჩნია
საიმისო შესაძლებლობა, რომ თანამედროვე
გამოწვევებს უპასუხოს. მას აქვს საიმისო
დინამიკა, რათა თანამედროვე მსოფლიოს
ახალი ფორმულირებები შესთავაზოს.

ამ თვალსაზრისით ჩვენი სარწმუნოების
მიერ გადმოცემული ბრძანებები და რჩევე-

ბი, რომლებიც ურთიერთდახმარებისა და ტოლერანტობის პრინციპების დამკვიდრებას უწყობს ხელს, ყურად უნდა ვიღოთ და ადამიანებს შორის არსებული უფლება-მოვალეობები კარგად გავიაზროთ და ცხოვრების ჭირი და ლხინი ერთად ვზიდოთ. ჩვენი ცხოვრების სტილი სოციალური ურთიერთთანადგომა უნდა იყოს და ბედნიერი მომავლისთვის ყველამ ერთად ვიბრძოლოთ.

შესავალი

საზოგადოებრივ ცხოვრებაში მშვიდობიან, ჯანსაღ და უსაფრთხო გარემოში ყოფნას დიდი მნიშვნელობა აქვს. ადამიანები ერთად თანაცხოვრებენ და ამ თანაცხოვრების პროცესში ერთიმეორის უფლებების მიმართ პატივისცემა საზოგადოების მშვიდობიან, ჯანსაღ და უსაფრთხო გარემოში ცხოვრების კუთხით ძირითად აუცილებლობას წარმოადგენს. ამგვარი სანდო და უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებისათვის კი საჭიროა გარკვეული წესების და პრინციპების დაცვა, რომლებიც ყველა ინდივიდმა უნდა დაიცვას. წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგადოებაში თავს იჩენს ისეთი ნეგატიური მოვლენები, როგორიცაა ანარქია, ქაოსი, ძალმომრეობა, თაღლითობა, ქურდობა და სხვა.

დღეისათვის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე ზოგიერთი მოვლენა და ნეგატიური ტენდენცია ადამიანების მიმართ ნდობის შერყევას იწვევს. განსაკუთრებით კი ყოველდღიურ ცხოვრებაში მიმდინარე თაღლითობის შემთხვევები იწვევენ შეშფოთებას. უეჭველია, რომ ამგვარი მავნე ტენდენციები, რომლებიც ადამიანებს სიმშვიდეს ურღვევს, საკმაოდ საშიში პრობლემაა.

დღეს თაღლითობის საზღვრები და არეალი საკმაოდ გაფართოებულია. თაღლითობის მასშტაბებიდან და მრავალფეროვნებიდან გამომდინარე მდგომარეობა საკმაოდ საგანგაშოა. ამის ნათელი მაგალითია ის ფაქტები, როდესაც გაყალბებული პროდუქციის მიღების რამოდენიმე შემთხვევის შედეგი ფატალური იყო. თაღლითობა, რომელიც ყოვლად საზიანოა სზოგადოებისთვის ებრძვის სიმართლეს და სხვა ღირებულებებს. ეს არის საზოგადოების ზნეობრივად შერყევა და ჭეშმარიტებასთან დაშორების პროცესი.

თაღლითობა საზოგადოების ის სულიერი დაავადებაა, რომელიც მხოლოდ ეკონომიკას კი არ აზიანებს, არამედ მისი ნეგატიური გავლენა სხვა სფეროებსაც სწვდება.

თაღლითობა, როგორც ზნეობრივი პრობლემა

ღმერთმა ადამიანი გაჩენილთა შორის ყველაზე აღმატებული შექმნა. ღმერთმა ასევე ადამიანს უზარმაზარი პასუხისმგებლობაც დააკისრა. უეჭველია, რომ ადამიანი ტყულუბრალოდ არ არის გაჩენილი. ღმერთი ყურანში ადამიანს მოიხსენიებს როგორც "დედამიწის ხალიფა". (იხ. ისრა 70, აჰზაბ 72-73, ჰაშრ 21, ქიამე 36, მუმინუნ 115, ენამ 165, ბაყარა 30სად 26, არაფ 69, ნემლ 62, სად 75, ჰიჯრ 29, სად 72)

შურა ბაყარას 31-ე და 34-ე აიათებში საუბარია იმაზე, რომ ღმერთმა ადამიანს მეტყველებისა და ცოდნის შეძენის უნარი უწყალობა და ანგელოზებზე მაღალ საფეხურზე აიყვანა. ბუნებაში კი რაც არის გაჩენილი, ყველაფერი ადამიანისთვისაა ნაბოძები. (იხ. ლუყმან 20, ნაჰლ 12, ჰაჯ 36, ჯასიე 12, ლუყმან 20)

თუმცა, ყურანში ასევე მითითებულია, რომ ამ ყველაფერთან ერთად ადამიანს გააჩნია უამრავი ისეთი ნაკლი, როგორიცაა სიხარბე, სისუსტე, უმწეობა, სულსწრაფობა, ბოროტება, უმეცრება, უმადურობა და სხვა. (იხ. მე'არიჯ 21, ნისა 28, ალაყ 6-7)

ამ ყველაფრის ფონზე ისლამი ადამიანებს ასწავლის თუ რა უნდა გააკეთონ და რა –არა, რადგან ადამიანს გააჩნია ნება და

პასუხისმგებლობა. ადამიანი ვალდებულია თავისი გაჩენის შესაბამისად ღირსეულად იცხოვროს, რადგან ის ღმერთმა ღირსეული და უხვი წყალობით დაჯილდოებული გააჩინა. ღმერთის წინაშე ადამიანის მნიშვნელობა კი მისსავე ზნეობაზეა დამოკიდებული.

ღმერთმა ეს ქვეყანა, სიკვდილი და საიქიო იმისათვის გააჩინა, თუ როგორ მოვიქცეოდით ჩვენ. ყველა, ვინც ამ გამოცდას გაივლის და სწორად იცხოვრებს მას დაუფასდება. ღმერთის წინაშე ყველაზე პატივდებული კი ისაა, ვინც ყველაზე მეტად ღვთისმოშიშია. (იხ. ჰუჯურათ 13, მულქ 2)

ღვთისმოშიში ადამიანი ცოდვის ჩადენას ერიდება და აკრძალული ქცევებისგან შორს დგას. ამავდროულად ის ასრულებს ღვთის ბრძანებებს და არასოდეს მიმართავს თაღლითობას. ასეთი ადამიანი ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ ადამიანებს შორის სიმშვიდემ და სანდოობამ დაისადგუროს. სწორედ ისაა მაღალი ზნეობის ადამიანი. ღვთისმოშიში ადამიანისთვის სანიმუშო მაგალითი ღმერთის შუამავალია, რომლის ზნეობის წყარო ყურანი იყო. ის ბრძანებდა: “თუ ადამიანს გული არ აქვს სწორი, არც მისი რწმენა იქნება მართალი. თუ ენა არ აქვს მართალი, არც გული ექნება მართალი”. (აჰმედ იბნ ჰანბელი. მუსნედ 3)

მაღალი ზნეობის საფუძველი სარწმუნოებაა, რომელიც ადამიანს გადაარჩენს როგორც ამქვეყნად ისე იმქვეყნად. ადამიანი, რომელმაც იცის, რომ ღმერთი მას მუდმივად ხედავს და აკონტროლებს, ცოდვას იოლად არ ჩაიდენს. ღვთისმოშიში ადამიანი არც სხვა ადამიანებს მოატყუებს და არც ბოროტებას ჩაიდენს. მან იცის, რომ მისი ყოველი სიტყვა და ყოველი ნაბიჯი აღინუსხება და ამ ყველაფრისთვის განკითხვა მოუწევს.

ისლამის მიხედვით ადამიანს უფლება აქვს სათავისოდ გამოიყენოს ყველა ის ამქვეყნიური წყალობა, რაც ღმერთმა უბოძა, მაგრამ ზღვარს არ უნდა გადავიდეს და ამასთანავე სარჩო ალალი გზებით უნდა მოიპოვოს. ყველა იმ წყალობის გამოყენებისას, რაც ადამიანს ღმერთმა უბოძა, მიზანიც და საშუალებაც რელიგიურად ლეგიტიმური უნდა იყოს. შეიძლება არსებობდეს მრავალი გზა, რაც ადამიანს კონკრეტულ მიზნამდე მიიყვანს, მაგრამ შეუძლებელია ამ გზებიდან ყველა ლეგიტიმური და ალალი იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში აღარ იარსებებდა ისეთი ცნებები, როგორიცაა მორალი, ზნეობა, ურთიერთსიყვარული, პატივისცემა, სანდოობა, სიმშვიდე და ა.შ. ამქვეყნიური წყალობით სარგებლობა და ქონების დაგროვება მხოლოდ და მხოლოდ მაშინაა მისაღები, როცა ეს ყველაფერი ალა



ლი გზების გამოყენებით ხდება. ამ მხრივ ძირითადი გზა შრომაა. გარდა ამისა, ჩვენი სარწმუნოება კრძალავს ყველა იმ გზას, რაც აკრძალულად დადგენილისკენ გვიბიძგებს. ამიტომაა, რომ ისლამური საზოგადოება ყოველგვარი ზღვარსგადასულობისგან დაცული, ზომიერების მიმდევარი, სანდო ადამიანებისაგან შედგება. ყურანში ნაბრძანებია:

"თქვენა ხართ ყველაზე საუკეთესო თემი, ვინც კი მოვლენილა ხალხთა შორის, ბრძანებთ სასურველს და კრძალავთ საძულველს, რადგანაც გწამთ ალლაჰის. ხოლო რომ ეწრმუნათ ღვთიური წიგნის ხალხს, მათთვისვე იქნებოდა უკეთესი. მათ შორის არიან მორწმუნენი, მაგრამ გზასამცდარნიც არიან დიდი ნაწილი მათგან. (ალი იმრან 110)

აღნიშნული აიათით ნაჩვენებია საუკეთესო საზოგადოების ის ნიშან-თვისებები, რომლებიც საზოგადოებას ზოგადად უნდა ახასიათებდეს.

ისლამი, როგორც სარწმუნოება დაფუძნებულია ისეთ ღირებულებებზე, როგორიცაა სიკეთე, მეგობრობა, სიმართლე და სამართლიანობა. ბუნებრივია ისლამი ადამიანებისგან ითხოვს არ დაუშვან ამ ღირებულებების უგულებელყოფა და არ მოიქცნენ სხვა-

ნაირად. ამიტომ ყოველგვარი უსამართლობის ჩადენა კატეგორიულად აკრძალულია.

ასევე, ისლამის სარწმუნოების საფუძველს ადამიანებზე სიკეთისა და სარგებლის მოტანა წარმოადგენს და რაც საზიანოა ის უნდა დაიგმოს. ეს ძირითადი მიზანი ყველა დებულებისთვის საერთოა. აქ გათვალისწინებულია ადამიანის ბუნება, რაც სიკეთისა და ბოროტებისკენ მის მიდრეკილებას გულისხმობს. მეორეს მხრივ ადამიანი აღჭურვილია გონებით,რაც მას ეხმარება განასხვავოს ერთმანეთისგან კარგი და ცუდი, სიკეთე და ბოროტება, სასარგებლო და საზიანო და ა.შ.

ყურანში ნაბრძანებია:

“სულსა და ჩამომყალიბებელსა მისას!

და მისთვის (სულისთვის) უკეთურობისა

და მორჩილების შთამგონებელსა!

უეჭველად, ნეტარ იქმნა (სული), ვინც განწმინდა იგი!

უეჭველად, წარწყმედილ იქმნა (სული), ვინც შეეცადა მისი(ნაკლოვანებების) დაფარვას! (შემს 7,8,9)

წარმოდგენილ აიათებში ნახსენები უკეთურობა ყოველგვარ ბოროტებას,სიგლახეს, უსამართლობას,თაღლითობას და ზოგადად ცუდ საქციელს გულისხმობს. განწმენდაში კი ღმერთის ბრძანებებისადმი ერთგულება, სიმართლისთვის სამსახური და სამართლიანობისთვის ბრძოლა იგულისხმება. ასე რომ ადამიანს ძალუძს აირჩიოს სიკეთის გზა და დაადგეს განწმენდილთა გზას, ან აირჩიოს ბოროტების გზა და მიჰყვეს უკეთურობას.

სწორედ ამ ყველაფრისგან გამოდინარეა, რომ საზოგადოებაში არსებობენ როგორც სიკეთისკენ მიდრეკილი, სამართლიანი ადამიანები, ისე ბოროტებისკენ მიდრეკილი, უკეთური ადამიანებიც. რელიგიის მიზანიც სწორედ ისაა,რომ ადამიანები უკეთურობას ჩამოაშოროს და სიკეთის გზაზე დააყენოს.

ისლამი, ეს სწორი გზაა. ყოველი მუსლიმი დღეში შესრულებული ხუთჯერადი

ლოცვის დროს ყოველ მუხლზე სთხოვს გამჩენს, რომ სწორ გზაზე დაადგინოს.

“მაშ, მტკიცედ იდექი, როგორც გებრძანა, და ვინც მოიქცა შენთან ერთად. და არ გადახვიდეთ ზღვარს. უეჭველად, იგი ხედავს, რასაც სჩადიხართ! (სურა ჰუდი 11/112)



“სწორედ ამიტომ მოუწოდე და მტკიცედ დადექი, როგორც გებრძანა და არ აჰყვე მათ წადილს და თქვი: „ვირწმუნე იგი, რაც ალლაჰმა გარდმოავლინა წიგნთაგან და მებრძანა, რომ სამართლიანად განვსაჯო თქვენს შორის. ალლაჰი ჩვენი ღმერთიცაა და თქვენი ღმერთიც. ჩვენთვისაა ჩვენი საქმენი და თქვენთვისაა თქვენი საქმენი. არ არს დავა ჩვენსა და თქვენს შორის. ალლაჰი შეკრებს ყოველ ჩვენთაგანს და მასთანაა მისაქცეელი.“(შურა 42/15)

ყველა ის ქცევა და დამოკიდებულება, რაც სიმართლეს არ მიესადაგება და აკნი-

ნებს, სარწმუნოების მიხედვით უარყოფილია და ამგვარი მიდგომებისგან შორს დგომა მრავალგზისაა მოწოდებული. ადამიანის მოტყუების მცდელობა და ზოგადად თაღლითური დამოკიდებულება ურთიერთობას აფუჭებს და საზოგადოებრივი ცხოვრების ჰარმონიას არღვევს. ამდენად, თაღლითობა და ადამიანების მოტყუება ის ქცევებია, რომლებსაც მუსლიმები კატეგორიულად უნდა განუდგნენ.

თაღლითობა ბოროტი ზრახვებისა და უკეთური ზნეობის მიმანიშნებელია და ზოგადად მორალურობასთან კავშირი არ გააჩნია. სიმართლე, სამართლიანობა ერთგულება და სანდოობა მაღალი ზნეობის ნიშნებია. ორპირობა და თაღლითობა კი ამორალურობის ნიშნებს წარმოადგენს.

თაღლითობა, როგორც ტყუილზე დამყარებული ქმედება მოგვიანებით აუცილებლად მჟღავნდება. თაღლითობას ვინც მისდევს იმ დროს არ ფიქრობს, რომ ერთ დღეს ეს ყველაფერი გამჟღავნდება და ამის გამო მათ შერცხვებათ. ისინი ამას საერთოდ არ განიცდიან და შესაბამისად არც რცხვენიათ.

“სირცხვილის გრძნობა რწმენის ნაწილია”- ბრძანებდა შუამავალი. (მუსლიმ იმან 58)

გარდა ამისა წმ. შუამავალი ბრძანებდა: “მორწმუნის რწმენა ყველაზე სრულყოფილი მაშინაა, თუ ზნეობა აქვს საუკეთესო”. (ებუ დავუდ, სუნნეთ 15)

ისლამის მიერ დადგენილ ყოველ ღვთისმსახურებაში არის საიმისოდ ყველაფერი, რომ ადამიანი მაღალი ზნეობის პატრონი გახდეს.



შუამავალი ბრძანებდა: “ვინც ყტუილის ლაპარაკსა და ტყუილით საქმის კეთებას არ მოეშვება, ღმერთს მისი ჭამის და სმის შეწყვეტა (მარხვა) არაფერში სჭირდება”. (ბუჰარი, სავმ 9) ან კიდევ: “რამდენი ისეთი ადამიანი მარხულობს, რომლებსაც მარხვისგან მხოლოდ შიმშილი და წყურვილი

რჩებათ და არიან მრავალნი, რომლებიც ღამღამობით ლოცვას ასრულებენ და ამ ლოცვისგან მხოლოდ უძილობა რჩებათ.” (იბნ მაჯე, სიამ 21)

გამომდინარე აქედან, ვინც სიმართლეს და პატიოსნებას არ მისდევს და ტყუილით და თაღლითობით ცხოვრობს, მის მიერ შესრულებული ღვთისმსახურებისგან შედეგს ვერ იღებს და ვერც რწმენის სიტკბოებას სწვდება.

თაღლითობა შეიძლება მრავალი სახით გამოიხატოს: ტყუილის თქმა, რაიმის გაყალბება, ჩაწყობით საქმის გაკეთება, სხვებისთვის მახის დაგება და სხვა.

თაღლითობის შესახებ ყურანში, ნისას სურას 142- და 143-ე აიათებში ნაბრძანებია შემდეგი:

“უეჭველად, ის სურთ თვალთმაქცებს, რომ ალლაჰი მოატყუონ, მაგრამ იგი მოატყუებს მათ. და როცა ლოცვად დგებიან, მცონარობით დგებიან, საჩვენებლად ხალხისა და არ ახსენებენ ალლაჰს, მცირედის გამოკლებით.

მერყევნი ამათ შორის არც ამათკენ არიან და არც იმათკენ. და ვისაც ალლაჰი გზას აუბნევს, იმას გზა ვერ მოუნახო შენ!

საბოლოოდ კი ცხადია, რომ ისლამი, რომელიც მაღალ ზნეობასა და სიმართლეზეა

დაფუძნებული, ვერასოდეს შეეგუება თაღლითობისა და თვალთმაქცობის გამოვლინებას.

რწმენის მიმართ თვალთმაქცობა

რწმენის საფუძველს მართალი აღიარება და გულისმიერი დასტური წარმოადგენს. რწმენის ჭეშმარიტება და მისი არსი, სწორედ რომ გულისმიერი დასტურია. გულისმიერი დასტური რწმენის უცვლელი პრინციპია. ამიტომ რწმენის აღიარებასთან ერთად გულისმიერი დასტურია საჭირო. თუ რწმენის პირობებს გულით არ ვაღიარებთ და თითქოს გვჯეროდეს ისე ვიქცევით, ეს რწმენის მიმართ თვალთმაქცობაა.

ასეთ თვალთმაქც მორწმუნეს, რომელიც გარეგნულად მორწმუნესავით გამოიყურება, ასრულებს და მხოლოდ სიტყვით აღიარებს რწმენის პირობებს და სინამდვილეში არ სწამს, მუნაფიყი ეწოდება. ეს არის თვალთმაქცობის გამოვლინების ერთ-ერთი სახე, როცა ადამიანს არ სწამს, მაგრამ ისე იქცევა თითქოს სწამდეს.

მუნაფიყები, მიუხედავად იმისა, რომ გულით არ სწამთ, რაიმე სარგებლის მიღების მიზნით ისე იქცევიან, თითქოს მორწმუნეე-

ბი იყონ. არადა, სინამდვილეში ისინი მატ-ყუარები არიან. (იხ. მუნაფიყუნ 1-2) მათი რწმენა მხოლოდ მოჩვენებითია. მუნაფიყე-ბი მუდმივად რწმენასა და უარყოფას შო-რის მიდი-მოდიან და ასე მოჩვენებითობაში ცხოვრობენ. ტყუილი და თაღლითობა მა-თი დამახასიათებელი თვისებებია. თუმცა ისინი მუდმივად ისე ცდილობენ მოქცევას, რომ მათი მორწმუნეთაგან გარჩევა ძნელია. ისინი ცდილობენ მოატყუონ ღმერთი და მორწმუნეები. (იხ. ნისა 142, მუნაფიყუნ 3-6, მუჯადელე 8, ნისა 108)

ყურანში ნაბრძანებია, რომ ამგვარი თვალთმაქცი ადამიანების სამუდამო სამ-ყოფელი ჯოჯოხეთის უკიდურესი უფს-კრულია. (იხ. ნისა 142) ისინი ამბობენ, რომ სჯერათ, მაგრამ სინამდვილეში არ სწამთ. ყურანის განმარტებით ისინი არიან ყრუ, მუნჯი და ბრმები. (სურა ბაყარა 2/18)

ამგვარი თვალთმაქცი მორწმუნეები ვერც კი ხვდებიან, რომ საკუთარ თავს ატყუებენ. ამგვარი ორპირობა და ორსახოვნება მორწ-მუნის ღირსებას არ შეეფერება. მუნაფიყე-ბის შესახებ ყურანი ბრძანებს:

“როდესაც მორწმუნეებს შეხვდებიან, მათ (პირმოთნეობით) ეტყვიან: ჩვენც ვიწამეთ! მაგრამ როდესაც თავიანთ სატანებთან მარ-ტონი დარჩებიან, ეუბნებიან: ჩვენ თქვენთან

ერთად ვართ, მათ კი მხოლოდ დავცინით. (სურა ბაყარა 2/14)

ყოველი ტყუილი და თაღლითობა საბოლოოდ აუცილებლად გამჟღავნდება. ასეა რწმენის მიმართ თვალთმაქცობაც. ასეთ დროს აუცილებლად დაფიქსირდება ადამიანის უგულო და არაგულწრფელი დამოკიდებულება. ამგვარი ორპირი დამოკიდებულების შესახებ ყურანში, სურა ნისას 142-ე, 143-ე და 144-ე აიათებში ნაბრძანებია:

“უეჭველად,ის სურთ თვალთმაქცებს,რომ ალლაჰი მოატყუონ, მაგრამ იგი მოატყუებს მათ. და როცა ლოცვად დგებიან, მცონარობით დგებიან, საჩვენებლად ხალხისა და არ ახსენებენ ალლაჰს, მცირედის გამოკლებით.

მერყევნი ამათ შორის არც ამათკენ არიან და არც იმათკენ. და ვისაც ალლაჰი გზას აუბნევს, იმას გზა ვერ მოუნახო შენ!

ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! არ აიყვანოთ მეგობრებად ურწმუნონი, მორწმუნენის მაგივრად. განა გინდათ ცხადი სამხილი მისცეთ ალლაჰს თქვენ წინააღმდეგ?!

ასევე შემდეგია ნაბრძანები სურა მუნაფიყუნის მე-4 აიათში:

“ხოლო როცა უცქერ მათ, გაოცებს მათი გარეგნობა და თუ საუბარს დაიწყებენ,

უსმენ მათ სიტყვებს. ჰგვანან მიბჯენილ ძელთ. ყოველი ჩქამი მათ საწინააღმდეგოდ მიმართული ჰგონიათ. ისინი მტრები არიან, მაშ, უფრთხილდით მათ. დაე, ალლაჰმა განგმიროს ისინი, როგორ აქცევენ ზურგს!- შუამავალი რწმენის საკითხში თვალთმაქცებს შემდეგნაირად ახასიათებს:

“მუნაფიყს სამი რამ ახასიათებს: ლაპარაკის დროს იტყუება, მიცემულ პირობას არ შეასრულებს და მიბარებულ ამანათს უღალატებს”. (ბუჰარი, შეჰადეთ 28)

ამ ჰადისის სხვა ვარიანტში მეოთხე თვისებად დამატებულია, რომ მუნაფიყები პრობლემის წარმოქმნისას უსამართლობას მიმართავენო.

ცოტა ლაპარაკი რწმენის ერთ-ერთ ნიშნად ითვლება. ამასთანავე ბილწსიტყვაობა და საჭიროზე ზედმეტის ლაპარაკი კი თვალთმაქცი მორწმუნის მახასიათებლად არის მიჩნეული.

მორწმუნეობაში თვალთმაქცობა მხოლოდ გარკვეული პერიოდისთვის არ არის დამახასიათებელი. ის შეიძლება გაგრძელდეს. ზემოთ მოყვანილ ჰადისში ნახსენები თვალთმაქცი მორწმუნის თვისებები დიდად ყურადსაღებია და ყოველი მორწმუნე ამ თვისებებს უნდა გაერიდოს. ყოველი მორწ-

მუნე უნდა შეეცადოს აღნიშნული ქცევებისგან თავი შეიკავოს და ყოველ ქცევაში მორწმუნის თვისებები გამოავლინოს.

სიტყვიერი თაღლითობა

ადამიანი ყოველმხრივ საუკეთესო ფორმითაა გაჩენილი, ამიტომ ის ყოველმხრივ და რა თქმა უნდა სიტყვითაც სიმართლის მოსაუბრე უნდა იყოს. ღმერთო მოგვიწოდებს სიმართლისკენ და გვიკრძალავს ტყუილის თქმას. ყურანის რამოდენიმე აიათში სწორედ ამ თემასთან დაკავშირებული ბრძანებაა გადმოცემული. წარმოგიდგენთ ზოგიერთ მათგანს:

“ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! გეშინოდეთ ალლაჰის და ჭეშმარიტი სიტყვა თქვით!

და არ მიეკაროთ ობლების ქონებას, სანამ სრულწლოვანებას მიაღწევენ, გარდა სასიკეთოდ; და შეასრულეთ ზომა და წონა ჭეშმარიტად, ჩვენ არ ვაკისრებთ არც ერთ სულიერს, გარდა რაც ძალუძს. და როცა თქვენს აზრს გამოთქვამთ, იყავით სამართლიანნი, თუნდ ნათესავი იყოს. და შეასრულეთ თქვენ ალლაჰის აღთქმა. აი, ასე დაგიწესათ მან, ეგების გულისხმაჰყოთ თქვენ!“

“აი ასე! ვინც განადიდებს ალლაჰის სიწმინდეებს, ის თავის სასიკეთოდ იქმს თავისი უფლის წინაშე. თქვენთვის ნებადართულია საქონელი, იმის გამოკლებით, რაც გეკითხებათ. მოერიდეთ კერპების სიბილწეს და მოერიდეთ ცრუ სიტყვებს!”

“ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! იყავით ალლაჰის წინაშე მოწმენი, სამართლის

აღმდგენი! და არ გაიძულოთ ზოგიერთ ადამიანთა მიმართ სიძულვილმა, რომ სამართლიანად არ იქცეოდეთ. იყავით სამართლიანნი, ის უფრო ახლოა ღვთისმოშიშობასთან; და გეშინოდეთ ალლაჰისა, უეჭველად, ალლაჰი უწყის, რასაც იქმთ თქვენ.

"და თუ იქნებით მოგზაურობაში და ვერ ჰპოვოთ მწერალი, მაშინ საბუთად საკმარისია საწინდე . და თუ ვინმე თქვენგანი ენდობა მეორეს, ვისაც ენდნენ, უკან დააბრუნოს საწინდე და ეშინოდეს ალლაჰის, მისი ღმერთის და არ დამალოთ მოწმეობა, და ვინც დამალავს, უეჭველად, ცოდვილი გული აქვს. და ალლაჰი უწყის, რასაც აკეთებთ!"

შუამავალი კი ბრძანებდა:

"ვისაც ღმერთისა და განკითხვის დღისა სწამს ან სასარგებლო რამ თქვას, ან გაჩუმდეს" (მუსლიმ, იმანი, 75)

როდესაც ადამიანები იტყუებიან ეს უკვე იმის ნიშანია,რომ ეს ადამიანები თვალთმაქცობის მორევში არიან აღმოჩენილი. საუბრისას ტყუილის თქმა, ტყუილის მტკიცება, ცრუმოწმეობა, ტყუილი ამბის გავრცელება და სხვა მსგავსი ყველა ქცევა სიმართლისა და ჭეშმარიტების საწინააღმდეგო ქმედებაა. ამგვარი გზის არჩევა თვალთმაქცობის ერთგვარი გამოვლინებაა. მატყუარა ადამიანები

სხვა ადამიანებს ატყუებენ და შესაბამისად მათთვის ზიანი მოაქვთ. ტყუილი არღვევს საზოგადოების სიმშვიდეს და ადამიანებს შორის ნდობის გაქრობას იწვევს. ბუნებრივია ჩნდება მრავალი სახის პრობლემები და კონფლიქტები. ეს კი ძალიან არასასურველი რამაა.

შეთანხმებისა და ხელშეკრულების

დროს თვალთმაქცობა

ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანებს შორის ხშირად ხდება შეთანხმებები და იდება ხელშეკრულებები, რის შემდეგაც ორივე მხარე ხელშეკრულებასა თუ შეთანხმებაში არსებული პირობების შესრულებას ელიან. მიცემული პირობის შეუსრულებლობა, სიტყვიერი იქნება ეს თუ წერილობითი, თვალთმაქცობისა და თაღლითობის კიდევ ერთი ნაირსახეობაა. ეს არის ქცევა,რომელსაც სარწმუნოება მიუღებლად მიიჩნევს და რომელიც საზოგადოებაში ნდობის დაკარგვისა და კონფლიკტების გამომწვევად ითვლება. აღნიშნული საკითხის შესახებ ყურანში ნაბრძანებია შემდეგი:

“ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! შეასრულეთ აღთქმანი. ნებადართულ იქმნა თქვენდა მსხვილფეხა პირუტყვი , გარდა რაც გიწერიათ თქვენ . ნებადართული არ არის

ნადირობა, როცა იჭრამით შემოსილი ხართ. უეჭველად, ალლაჰი დაადგენს იმას, ინებებს რასაც. (სურა მაიდე 5/1)

"და არ მიეკაროთ ობლის ქონებას, გარდა სიკეთით, სანამ არ გახდება სრულწლოვანი. და აღასრულეთ აღთქმა. უეჭველად, აღთქმა პასუხისმგებლობაა! (სურა ისრა 34)

აიათბში ნათლად ცანს, რომ შეთანხმების ერთგულება და მიცემული პირობის აღსრულება სავალდებულოა.

საბუთების გაყალბება

როდესაც ადამიანი ღირებულებებს უგულებელყოფს და პირადი სარგებლის მიღების მიზნით იქცევა, რათა მიზანს მიაღწიოს და საამისოდ ყველა გზას მისაღებად მიიჩნევს, ეს ყველაფერი მას ძალიან უარყოფითი ქცევებისკენ უბიძგებს. სამწუხაროდ არსებობს სხვადასხვა ოფიციალური დოკუმენტების გაყალბების ფაქტები; პასპორტი იქნება ეს, მართვის მოწმობა, დიპლომი, რაიმე ცნობა თუ სხვა. ამ ყველაფერს საბუთების გაყალბება ჰქვია. გარდა საბუთებისა ხდება ყალბი ფულის დამზადება, რაც განსაკუთრებით დიდი ბოროტება და საშიში რამაა. ამზადებენ ასევე გაყალბებულ ვიდეო დისკებს, სიმღერებს, წიგნებს და სხ-

ვა. ამ ყველაფრის დროს იყენებენ გაყალ-ბებულ ბეჭედს, ხელმოწერას, ფირმას, შპს-ს და სხვა. ამგვარი ქცევა გარდა იმისა, რომ დანაშაულია, განსაკუთრებით საშიშია, რად-გან ის ხელს უწყობს დანაშაულებრივ გა-რემოს განვითარებას და შესაბამისად სხვა დანაშაულებს უხსნის გზას. ამ ყველაფერ-ში არის უსამართლო შემოსავალი. ბუნებ-რივია ჩვენი სარწმუნოება ამ ყველაფერს მიუღებლად მიიჩნევს.

წარმოებაში, ეაქრობისა და ყიდვა-გაყიდვის დროს თაღლითობა

წარმოების, ვაჭრობის და დახლთან ყიდვა-გაყიდვის პროცესში მომუშავე ადამიანები ვალდებულნი არიან განსაკუთრებული ყურადღება და წესიერება გამოიჩინონ. მწარმოებელი ვალდებულია მომხმარებელს ხარისხიანი და მოთხოვნილებების შესაბამისი საქონელი შესთავაზოს. სამწუხაროდ დღევანდელ პერიოდში ამ მხრივ ნეგატიური ტენდენციები შეინიშნება. ხშირია შემთხვევები, როცა მომხმარებელს უხარისხო და ფაქტიურად გაყალბებული პროდუქცია მიეწოდება.

ამგვარმა ტენდენციამ საზოგადოებაში შექმნა შემგუებლობა და საიმისო აზრი, რომ პროდუქციის გაყალბება ჩვეულებრივი მოვლენაა. პროდუქციის გაყალბების მიზეზი სწრაფი და იოლად გამდიდრების სურვილია.

წარმოებაში თაღლითობა ადამიანის შრომისა და ამაგის მიმართ უპატივცემულობაა და ამასთანავე ის საფრთხეს უქმნის ადამიანთა ჯანმრთელობას. ამ მხრივ განსაკუთრებით საშიშია გაყალბებული საკვები პროდუქტების წარმოება. უფრო მეტიც, არსებობს სამკურნალო მედიკამენტების გაყალბების შემთხვევებიც.

ყალბი პროდუქტებისა და წამლების მიღების გამო ხშირია დაავადებების და მოწამლვის შემთხვევები. მიმსგავსებული პროდუქციის მიერ ნამდვილი ჩანაცვლება, სხვადასხვა ქიმიური დანამატების გამოყენების გზით რომელიმე პროტუქტის გაყალბებული ვარიანტის შექმნა და მსგავსი ფალსიფიცირების შემთვევები ადამიანების მოტყუებას და მათ საზიანოდ მიმართულ ქმედებას ნიშნავს. საკვები პროდუქტები და მედიკამენტები საქონლის ის სახეობაა, რომელთა დამზადება და შენახვა განსაკუთრებულ სიფაქიზეს და ყურადღებას ითხოვს. საქონლის წარმოებიდან მოხმარებამდე მთელი პროცესი განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს.

თანამედროვე ეპოქაში ადამიანები განსაკუთრებული სისწრაფით მიილტვიან უფრო და უფრო მეტი სარგებლის მიღებისაკენ, რათა მეტი კომფორტი და ფუფუნება შეიქმნან. ამგვარი შეჯიბრების მდგომარეობა აიძულებს მათ უღალატონ ალალმართლობის პრინციპებს და ხშირად თაღლითობას მიმართავენ ხოლმე. რადგან თაღლითობის გზა უფრო იოლი და მეტად სარგებლის მომტანი ჩანს, ადამიანთა ნაწილიც ამ გზას ირჩევს. არადა თაღლითობა, რომელიც წმინდა ღირებულებებს ეწინააღმდეგება აბსოლუტურად მიუღებელია და ისლამი კატეგორიულად გმობს მსგავს ტენდენციებს.

ყურანის მიხედვით ადამიანთა შორის ურთიერთობას სიმართლე და ურთიერთპატივისცემა უნდა არეგულირებდეს. ეს ეხება ვაჭრობის სფეროსაც, სადაც აუცილებელი შეთანხმებები მხარეთა კმაყოფილებას გამოხატავდეს. (იხ. სურა ნისა 4/29)

სარჩოს მოპოვებისა და ზოგადად შრომის პროცესი აუცილებლად ალალი და ლეგიტიმური გზებით უნდა წარიმართოს. ამასთანავე, ისლამი მოითხოვს ყოველი შეთანხმება ორივე მხარის ნებას გამოხატავდეს და სრულყოფილად შესრულდეს. ყოველი ადამიანის რწმენა მის თავისუფალ ნებას გამოხატავს. ასევე ორიმე მხარის თავისუფალ ნებას უნდა გამოხატავდეს მხარეთა შორის დადებული შეთანხმებებიც. ყოველი ქმედება, თავლთმაქცობა იქნება ეს, გაყალბება, თაღლითობა, მუქარა, ძალდატანება თუ სხვა რამ,რაც ადამიანთა თავსუფალი ნების გამოვლინებას ხელს შეუშლის კატეგორიულად მიუღებელია. ყველა ამგვარი ქმედება ადამიანის ღირსებისთვის შეუსაბამოა და შესაბამისად ამ მხრივაც მიუღებელია.

ვაჭრობა და ყიდვა-გაყიდვის პროცესი ადამიანის ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ეს პროცესი აუცილებლად სამართლიანად უნდა წარიმართოს და ყოველი ქმედება, რაც ამ პროცესის სამართლიანობას ეჭვს ქვეშ დააყენებს მიუღებელია.

ვაჭრობა და ყიდვა-გაყიდვა, ისლამის მიხედვით ალალი საქმიანობაა. ამ პროცესში, ალალმართლობის პრინციპის გათვალსიწინებით ყველას შეუძლია ჩაებას და შესაბამისი სარგებელი ნახოს. შესაბამისად სხვისი უფლებების დარღვევა, მოტყუება და მსგავსი მიუღებელი ქმედებები კატეგორიულად აკრძალულია.

თაღლითობის გზით მიღებული შემოსავალი ადამიანთა უფლებების უხეში დარ-

ღვევაა. ადამიანის უფლების დარღვევის ნებისმიერი გამოვლინება კი ბოროტებაა. ღმერთს არ უყვარს ბოროტება და მოგვიწოდებს არ ვიყოთ ბოროტთა შორის. უსამართლო გზებით შემოსავლის მიღება ადამიანის და ზოგადად საზოგადოების უფლებების დარღვევაა. ადამიანისა და საზოგადოების უფლებების დარღვევა კი ღმერთისადმი უპატივცემულობას ნიშნავს. საბოლოო ჯამში ეს ყველაფერი საზოგადოებაში უნდობლობისა და ქაოსის დამკვიდრებას გამოიწვევს. (იხ. სურა ბაყარა 2/188)

შუამავალი ბრძანებდა, რომ წესიერი ვაჭრები, რომლებიც სანდონი არიან და მომხმარებელთა მიმართ სამართლიანად იქცევიან, იმქვეყნად შაჰიდებთან ერთად იქნებიანო. (დარიმი, ბუიუ' 8)

გარდა ამისა, ჰადისში მითითებულია, რომ ვინც თაღლითობას მიმართავს ცეცხლში დაიწვება. (ბუჰარი, ბუიუ' 60) შუამავალი მიუღებლად მიიჩნევდა საქონლის ნაკლის დაფარვას და ისე გაყიდვას. ამიტომ გამყიდველმა მყიდველს აუცილებლად უნდა უთხრას რა ნაკლი გააჩნია საქონელს და ამის შემდეგ შესაბამის ფასში მიყიდოს. თუ ასე არ მოიქცევა საიქიო სასჯელი არ ასცდება. გარდა ამისა მისი შემოსავალი ბარაქას დაკარგავს. (ბუჰარი ბუიუ' 1, 19, 23, 44, 46)

ყველა ამ ჰადისებიდან ჩანს, რომ ადამიანების მოტყუება და თაღლითობა დიდი ბოროტებაა.

იდვა – გაყიდვისა და ზოგადად ვაჭრობის პროცესში მხარეთა შორის ურთიერთ შეთანხმება, მათი თავისუფალი ნების გამოვლინება და ამ შეთანხმების სრულყოფილად შესრულება ის მნიშვნელოვანი კრიტერიუმებია, რასაც ისლამი დიდ ყურადღებას ანიჭებს. გარდა ამისა ამგვარი მიდგომები საზოგადოების სიმშვიდეს და ნდობის ხარისხს აამაღლებს. შუამავალი კრძალავდა აგრეთვე საქონლის ისე წარმოჩინებას, რომ მყიდველი შეცდომაში შესულიყო. ერთ-ერთი ასეთი მეთოდი იყო გასაყიდი მეწველი პირუტყვის ძუძუში რძის დაგროვება და მყიდველისთვის სავსე ცურის ჩვენება.

აღნიშნული საკითხი, რომელიც გასაყიდ მეწველ საქონელს ეხება, ისლამის სამართლის ლიტერატურაში მაგალითადაა მიჩნეული და მსგავსი სიტუაციის დროს შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღება. თუ გამყიდველი მეწველ პირუტყვს თავის დროზე არ მოწველის, ჯიქანში რძეს დააუგროვებს და ისე გაიყვანს ბაზარზე, რათა დიდჯიქნიანი გამოჩნდეს, ეს თაღლითობად ითვლება. აქედან გამომდინარე მსგავსი თვალთმაქცობის შემთხვევებიც იგივე კონტექსტში განიხილება. მაგალითად ტანსაცმლის შეღებვა, რათა ახალი გამოჩნდეს.

ვაჭრობის დროს ასევე მნიშვნელოვანია გულახდილობა, რათა უსამართლო წაგების ან მოგების ალბათობა შემცირდეს. ისლამის მიხედვით ყიდვა-გაყიდვისას მოტყუება, ფასის ხელოვნურად ზედმეტად გაზრდა, მყიდველის ან გამყიდველის ინფორმაციის ნაკლებობით სარგებლობა და საქონლის ძალიან იაფად წართმევა ან ძალიან ძვირის გადახდევინება, ყველა ეს და მსგავსი ქმედება აკრძალულია.

ისევ დავუბრუნდებით საკვები პროდუქტებისა და მედიკამენტების გაყალბების თემას. ორივე მათგანი ადამიანისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. გამომდინარე აქედან, მათი გაყალბება ან ვადაგასულის გაყიდვა ადამიანის სიცოცხლით თამაშს ნიშნავს.

ვადაგასულ, გაფუჭებულ საკვებსა და მედიკამენტებს ადამიანის ჯანმრთელობის სერიოზული დაზიანების გამოწვევა შეუძლიათ. უფრო მეტიც, შედეგი შეიძლება ფატალურიც კი იყოს. ამიტომ ამ სფეროში შესაძლო დარღვევების თავიდან აცილება და ამ მხრივ ადამიანების გათვითცნობიერება განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობის მატარებელია.

ადამიანების კეთილგანწყობით ან უცოდინარობით ბოროტად სარგებლობა და მა-

თი მოტყუება, რა თქმა უნდა თაღლითობაა და ის ვერანარად ვერ შეესაბამება ისლამის ზნეობას. ყურანის აიათებში (რაჰმანი 9, ისრა 35, ნისა 29, ბაყარა 195 ნაჰლი 90) ნაბრძანებია შემდეგი:

“გამართეთ სასწორი სამართლიანად და არ დააკლოთ წონაში!

როცა რამეს წყავთ, სრულქმენით საწყაო და აწონეთ ჭეშმარიტად და სამართლიანად. აი, ეს უფრო უკეთესი და უფრო მშვენიერია შედეგის მხრივ!

ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! ერთმანეთს შორის უკანონოდ არ მიირთვათ თქვენი ქონება, მხოლოდ ვაჭრობა თუ იქნება ურთიერთთანხმობით. და თავი არ მოიკლათ. უეჭველად, ალლაჰი მოწყალეა თქვენდამი!

გაიღეთ ალლაჰის გზაზე, და თავი არ ჩაიგდოთ საფთხეში თქვენივე ხელით, და სიკეთე აკეთეთ. უეჭველად, ალლაჰს უყვარს კეთილისმყოფელები.

უეჭველად, ალლაჰი ბრძანებს სამართლიანობას, სიკეთის კეთებას და ნათესავებზე დახმარებას. და კრძალავს სიძვას, გასაკიცხ ქმედებებს და უსამართლობას. იგი შეგაგონებთ თქვენ, ეგების გულისხმაჰყოთ!

საქონლის წარმოებისა და გაყიდვის პროცესში თაღლითობა გარდა იმისა, რომ კანონის დარღვევაა და დასჯადია, ის რელიგიურადაც კატეგორიულად მიუღებელია და შესაბამისად დიდი ცოდვაა.

წარმოების პროდუქტების გაყალბების საკითხში უხარისხო საქონლის წარმოება, გაფუჭებული და საზიანო საქონლის გაყიდვის მცდელობა, საქმის კეთებისას, მოვალეობის შესრულებისას ზერელე დამოკიდებულება, რძეში წყლის გარევა, არანატურალური თაფლის გაყიდვა, ლეში ხორცის გაყიდვა, ყალბი სოსისის და ძეხვის დამზადება. ზომასა და წონაში მოტყუება, საქონლის დამზადებისას ნედლეულის მოპარვა და მითვისება და მრავალი სხვა. ეს და მსგავსი მაგალითები მრავლადაა და აღნიშნული საქმიანობით დაკავებულ ადამიანებს ევალებათ ეს ყველაფერი გაითვალისწინონ და პატიოსნად მოიქცენენ.

ვაჭრობის სფეროში მომუშავე ადამიანები ვალდებულნი არიან პატიოსნად მოიქცნენ მომხმარებელი არ დააზარალონ. შუამავალი აღნიშნულ საკითხებს განსაკუთრებული სიფაქიზით ეკიდებოდა და ადამიანებს მრავალგზის აფრთხილებდა:

ერთხელ შუამავალი ბაზარში სეირნობდა. იქვე ხორბლის გამყიდველს გადაეყარა.

როგორ ყიდი ხორბალსო, ჰკითხა გამყიდველს შუამავალმა. გამყიდველმა მოუყვა თუ როგორ ყიდდა ხორბალს. შუამავალმა ხორბალში ხელი ჩაყო და ნახა, რომ ხორბალი სველია. რატომ არის ხორბალი სველიო,ჰკითხა შუამავალმა ხორბლის გამყიდველს. წვიმამ დაასველაო, უპასუხა გამყიდველმა. მაშინ ხორბლის სველი ნაწილი ზევით ამოიტანე,რათა ადამიანებმა ნახონო, უბრძანა შუამავალმა და თან გააფრთხილა: "ვინც გვატყუებს, ჩვენიანი არ არის". (მუსლიმ, იმან 164)

აქვე გავიხსენოთ ერთ-ერთი ბრძენკაცის რჩევა-დარიგებანი, რომელიც მან ახალგაზრდა ადამიანს ურჩია:

"არ შეხედო არამს, არ ჭამო არამი და არ სვა. იყავ მართალი,მომთმენი და ამტანი. არასოდეს თქვა ტყუილი. უფროსებს ლაპარაკი არ დაასწრო. არავისი შეგშურდეს, ამქვეყნიურ დიდებასა და ქონებას ნუ შეიყვარებ. არასწორად არ აწონო და არ გაზომო. ძლევამოსილების დროს იყავ შემწყნარებელი და დაცემის დროს მომთმენი. თვითონ რომ გჭირდებოდეს დახმარება მაინც იმდენად ხელგაშლილი იყავ, რომ ვიღაცას მაინც დაეხმარო".

ქცევა

ისლამის მიხედვით ადამიანის ქცევის საფუძველში სიმართლე და ერთგულება უნდა იყოს მთავარი. სხვა ადამიანის მიმართ კარგი დამოკიდებულების ჩვენება და ზურგსუკან მტრობა ქცევითი თვალთმაქცობაა და ისლამი მას კატეგორიულად კრძალავს. ერთხელ აბდულლაჰ იბნ საყაფიმ შუამავალს სთხოვა: "ღვთის შუამავალო, ისლამის შესახებ ისეთი რამ მითხარი, რომ შენს მერე სხვას აღარ ვკითხო". შუამავალმა მიუგო: "იწამე ღმერთის და იყავ მართალი." (მუსლიმ, იმანი, 62)

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ყურანში (ფუსსილეთ 30-32, ჯასიე 29, იასინ 12) ნაბრძანებია შემდეგი:

"უეჭველად, რომელთაც თქვეს: „ღმერთი ჩვენი ალლაჰია" მერე კი იყვნენ მტკიცენი, ზეგარდმოვლენ მათზე ანგელოზები: „ნუ გეშინიათ და ნუ დამწუხრდებით, და იხარეთ სამოთხით, რომელიც იყო აღთქმული.

ჩვენ თქვენი მფარველები ვართ ამქვეყნიურ ცხოვრებაში და იმქვეყნიურშიც. და თქვენთვისაა იქ, რასაც სულნი თქვენი ინატრებენ! და თქვენთვისაა იქ, რასაც მოითხოვთ, ჯილდოდ შენმდობისგან, მწყალობლისგან!

სწორედ ეს ჩვენი წიგნი ამეტყველდება თქვენს წინააღმდეგ ჭეშმარიტებით, რამეთუ

ჩვენ აღვნუსხავდით იმას, რასაც სჩადიოდით.

უეჭველად, ჩვენ ვაცოცხლებთ მკვდრებს და ვწერთ, რაც წაიმძღოლეს და რა ნიშანიც დატოვეს მათ. და ყველაფერი ჩვენ აღვრიცხეთ ცხად დავთარში.

როგორც აიათებიდან ჩანს, ადამიანის ყოველი ქცევა, ცოდვაც და მადლიც უკლებლივ აღინუსხება და საიქიოში მისული ადამიანიც შესაბამისად განიკითხება. მნიშვნელობა არ აქვს სიტყვა და ქცევა მნიშვნელოვანი იქნება თუ უმნიშვნელო. ყველაფერი უკლებლივ აღინუსხება. ვინც კეთილი საქმე ჰქმნა ის დაჯილდოვდება, ხოლო ვინც ბოროტება ჩაიდინა და ეს არ მოინანია, ამ ბოროტების შესაბამის სასჯელს მიიღებს. (იხ. ქეჰფი 49, ყაფი 17,18, ჯასიე 30,31)

ისლამი მოუწოდებს ადამიანებს ურთიერთობებში სიმართლე, ურთიერთგაგება და ურთიერთპატივისცემა იქონიონ. მუსლიმებს უნდა უყვარდეთ ერთმანეთი. ისინი უნდა ზრუნავდნენ ერთმანეთზე.

ამასთანავე, ურთიერთობებში ორპირობას და თვალთმაქცობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. მორწმუნე ადამიანები უფრო და უფრო უახლოვდებოდნენ ერთმანეთს და მათ შორის მუდმივად ურთიერთპატივისცემის ატმოსფერო უნდა იყოს. სამწუხაროდ ეს ყველაფერი დღეს შესუსტებულია. ადამიანებს შორის ურთიერთგატანა შემცირდა. უფრო ხშირია ყალბი ურთიერთობები და ყალბი მეგობრობა.

ზოგადად მსოფლიოს თანამედროვე ცხოვრებაში თვალთმაქცობა და ერთმანეთის მოტყუება თითქოსდა ნორმად იქცა. ხშირია ცოლ-ქმარს შორის ღალატი, ყალბი ქორწინებები, რომლებიც გარკვეულ ფინანსურ სარგებელს ისახავს მიზნად. ამასთანავე ხშირია საბუთების გაყალბების გზით სასამართლო დავების მოგება და ამით რაღაც სარგებლის ნახვის შემთხვევებიც. გარდა ამისა ადამიანები აყალბებენ უმაღლესი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტებს, დიპლომებს და ამის საშუალებით ინიშნებიან ისეთ სამსახურებში, სადაც რეალურად უფლება არ აქვთ, რომ იმუშაონ.

ეს ყველაფერი თვალთმაქცობა და თაღლითობაა, რაც ისლამის მიხედვით მიუღებელი და არაზნეობრივია.

ადამიანთა უზნეო ქცევის ძირითადი მიზეზი მაინც ისაა, რომ ადამიანებს ავიწყდებათ ღმერთის არსებობა და ასევე ავიწყდებათ ის, რომ მათი ყოველი ნამოქმედარისთვის საიქიოში განიკითხებიან. ადამიანი, რომელიც ზნეობრივ ღირებულებებს უგულებელყოფს, ავიწყდება ღმერთის და განკითხვის დღის არსებობა, საშიშია არამარტო ახლო გარემოცვისთვის, არამედ ზოგადად საზოგადოებისთვისაც. ასეთი ადამიანი სხვათა უფლებების დარღვევას არ მოერიდება და ჩაიდენს ბოროტებას.

მუსლიმი ადამიანი, რომლის ქცევის პრინციპები სიკეთე, სილამაზე, სიყვარული, სამართლიანობა და პატიოსნებაა, ბოროტებას, თვალთმაქცობას და თაღლითობას არ ჩაიდენს. ყოველი ადამაინის ქცევის საზომი სიმართლე და სამართლიანობა უნდა იყოს, ყველა სფეროში, ვაჭრობა იქნება ეს, პირადი ურთიერთობა, სამსახური, ოჯახი თუ სხვა.

ყალბი ურთიერთობების მატება ურთიერთსიყვარულის და ურთიერთპატივისცემის გარემოს ასუსტებს და ეს ყველაფერი ადამიანს, როგორც ინდივიდს ასუსტებს.

ბევრი ადამიანი მატერიალურ კეთილდღეობასაა გადაყოლილი და სხვა აღარაფერი ახსოვს, რაც სულიერი ღირებულებების შესუსტებას და მეორე პლანზე გადაწევას იწვევს. უსიყვარულოდ და პატივისცემის გარეშე, ადამიანი გაუცხოვდება. ადამიანი ამ დროს ცდილობს შვილს ისეთი პროფესია შესძინოს, რაც ბევრს ფულს მოუტანს და ამ დროს არ ცდილობს შვილი ადამიანად გაზარდოს. არ ასწავლის რომ ცხოვრებაში მთავარი რწმენა, სიკეთეს, სიყვარული, სიმართლე, პატიოსნება, სანდოობა და მსგავსი ღირებულებებია. ამრიდან მომავალ თაობაშიც ფეხს იკიდებს თვალთმაქცობისკენ ტენდენციები. არადა თვალთმაქცობის ნებისმიერ გამოვლინებას უარყოფს და კრძალავს როგორც სარწმუნოება, ისე ზნეობა და სამართალი. სარწმუნოება ადამიანს ერთგულებას და პატიოსნებას ასწავლის.

სიყალბე აკადემიურ სფეროში

აკადემიურ სფეროში წარმოდგენილი ნაშრომის წყაროს მიუთითებლობა და საკუთარ ნაშრომად გასაღება ამ სფეროში არსებული თაღლითობის ერთ-ერთი გამოვლინებაა. მეცნიერებაში წესების დაცვა ამ სფეროში არსებული ზნეობრივი მოთხოვნილებების აუცილებლობაა.

აკადემიურ სფეროში გაყალბების მრავალი მეთოდი არსებობს. ადამიანები აყალბებენ მეცნიერულ ნაშრომებს, აყალბებენ სტატისტიკას, მაგიდასთან დამჯდარი ატარებენ ისეთ კვლევებს, რომლებიც ექსპედიციას მოითხოვს, წერენ სხვისი ნაშრომებისგან ამონარიდებს და არ უთითებენ წყაროს და ა.შ.

სხვისი აზრის, აღმოჩენის, კვლევის, ნაშრომის, ლიტერატურული ნაწარმოების და სხვ. მოპარვა და საკუთარ შემოქმედებად გასაღება პლაგიატობა და თაღლითობაა. ამიტომ, როცა სხვის ნააზრევს ან ნაშრომს ვწერთ აუცილებელია ფრჩხილებში ჩაისვას და მიეთითოს წყარო.

ამ სფეროში თვალთმაქცობის კიდევ ერთი გამოვლინება სკოლებში ხდება და ამ

კონკრეტულ შემთხვევაში ვგულისხმობთ დავალებების, ნამუშევრების, სემინარებისა და სხვა მასალების გადაწერას და საკუთარ ნაშრომად გასაღებას, რამაც შესაძლებელია დაუმსახურებელი ქულა ან სხვა პრივილეგია მოგვიტანოს. უშრომლად, სხვისგან გადაწერის გზით გამოცდების ჩაბარებით მოსწავლე თავის მომავალ ცხოვრებას და ზოგადად ცხოვრების სტილისადმი დამოკიდებულებას საფრთხეს უქმნის. გადაწერა ნიშნავს მიეჩვიო უშრომლად სარგებლის მიღებას. შესაბამისად მომავალში ასეთი ადამიანი ყოველთვის შეეცდება უშრომლად მიიღოს შემოსავალი და სულაც არ დაინტერესდება ამით საზოგადოება იზარალებს თუ არა. ამიტომ, ერთი შეხედვით უწყინარი მოვლენა დავალების გადაწერა, საკმაოდ საფრთხის შემცველია და ამ მხრივაც მოსწავლეების გათვითცნობიერებაა საჭირო.

ყალბის ანალიზი, ფალსიფიკაცია

ადამიანის უფლებების მიმართ პატივისცემა ის აუცილებელი პრინციპია, რომელსაც რელიგია გვავალდებულებს და რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია როგორ ადამიანის, ისე საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის. საზოგადოებრივ ცხოვრებას აუ-

ცილებლად სჭირდება ისეთი ღირებულებები, როგორიცაა სიმართლე და სანდოობა. საზოგადოების სიჯანსაღისთვის ერთ-ერთი აუცილებლობა სწორედაც რომ სიმართლის პატივისცემაა.

სიმართლისა და ჭეშმარიტების წინა პლანზე დაყენება სიყალბისა და თვალთმაქცობის შესუსტების საკითხში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. იმ საზოგადოებაში, სადაც სიმართლე უპირველესია და მთავარ ღირებულებად ითვლება, იქ სიყალბის ადგილი აღარ დარჩება. ამრიგად, ასეთ საზოგადოებაში ადამიანები ალალმართალი და სამართლიანი იქნებიან და ორპირობას არ იკადრებენ. ეს კი საზოგადოებრივ

ცხოვრებაში სიმშვიდისა და ჰარმონიის გარანტია იქნება.

მსოფლიოში სიმშვიდემ და ბედნიერებამ რომ დაისადგუროს საჭიროა სიმართლე წინა პლანზე იქნას დაყენებული და სიყალბე-უარყოფილი. სწორედ ამ პრინციპის მიმდევარი ადამიანებისგან შემდგარი საზოგადოება შეძლებს თავი დააღწიოს სიყალბეს. ეს კი ბედნიერების მომტანია როგორც ამქვეყნად, ისე საიქიო ცხოვრებაშიც.

და ბოლოს

დასაბამიდან დღემდე ყოველთვის იყვნენ სიმართლის დამცველი ადამიანები, რომლებიც ჭეშმარიტებას და სიკეთეს იცავდნენ და ასევე მრავლად იყვნენ ისეთი ადამიანებიც, რომლებიც ბოროტებას სჩადიოდნენ, ეწეოდნენ სიყალბეს, სთესდენ ბოროტებას და საკუთარი გამორჩენის მიზნით კადრულობდნენ ყოველგვარ ცუდსა და მიუღებელ საქმეს. ცხოვრებას დახამებული და მუდმივად გამორჩენის სურვილით შეპყრობილი ადამიანები ჭეშმარიტებას ვეღარ ხედავენ და როგორც ბრმები ისე არიან, ეს კი მათ გამუდმებით უსამართლობისა და ზღვარსგადასულობისაკენ უბიძგებთ. ისინი ფიქრობენ, რომ მთავარია თვითონ იყონ კარგად

და ნახონ უფრო და უფრო მეტი სარგებელი და ამ დროს სულ არ აინტერესებთ ვინმე ამით დაზარალდება თუ არა. გამომდინარე აქედან, ასეთი ადამიანებისთვის ქურდობა, თაღლითობა, სხვათა მოტყუება, ძარცვა, წაგლეჯა და სხვა მსგავსი ბოროტებანი ნორმადაა მიჩნეული. მათთვის მთავარია ფული, ფუფუნება, სარგებელი და მდგომარეობა და რადაც არ უნდა დაუჯდეთ ამის მიღწევას ცდილობენ.

ეს დედამიწა ადამიანებისთვის მიბარებული ამანათია, ხოლო სიცოცხლე ღვთით ნაბოძები საჩუქარი. ჩვენ ვალდებულნი ვართ მადლობა შევწიროთ ღმერთს ამ საჩუქრისათვის და დედამიწაზე არსებული სილამაზე დავაფასოთ. გარდა დაფასებისა, უნდა ვიზრუნოთ ამ სილამაზის განვითარებისათვის და საამისოდ ამაგი არ დავიშუროთ. ცხოვრების ფასს მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულის მეოხებით გავიგებთ.

ადამიანი ვალდებულია იფიქროს თუ რა შემატოს სიკეთის სახით ამ სამყაროში მისთვის ბოძებულ უთვალავ წყალობას. ადამიანი მუდმივად ვალშია გამჩენის წინაშე, რადგან ღმერთმა ის უთვალავი სილამაზით და წყალობით სავსე ამ სამყაროში გააჩინა და ყველაფერი საბრძანებლად უბოძა. ამ ვალდებულების შესრულება რწმენით, ღვთისმოსაობით, მადლიერებით, შრომით,

სიკეთის თესვით და სიმართლის დაცვით არის შესაძლებელი.

რაც შეეხება ბოროტებას და სიყალბეს, მას ყველა ადამიანმა უნდა ებრძოლოს და ამ მხრივ სრული თანხმობა და ერთიანობა გამოიჩინოს.

ხშირად უმნიშვნელოდ მიჩნეული უასამართლობა და შეცდომები რეაგირების გარეშე რჩება და ეს ყველაფერი შემდეგ როგორც წესი მასიურ ხასიათს იღებს, რაც საბოლოო ჯამში მთლიან საზოგადოებას ჩაითრევს ხოლმე. ცუდი ქცევა მხოლოდ ერთ კონკრეტულ ინდივიდს არ ეხება, ის საზოგადოების პრობლემაა. ამ მხრივ განსაკუთრებით ყურადსაღებია ისეთი ბოროტება, როგორიცაა ქურდობა, თაღლითობა და ტყუილი. ეს ყველაფერი საზოგადოების სიმშვიდეს მნიშვნელოვნად აზიანებს. ისლამი არამარტო კატეგორიულად კრძალავს ამგვარ ბოროტებას, არამედ ატარებს იმ მნიშვნელოვან პრევენციულ ღონისძიებებს, რაც მათი წარმოშობის მიზეზებს სპობს. ისლამი საზოგადოებას მოუწოდებს ამ მხრივ ერთიანი პასუხისმგებლობა აიღოს და ერთიანად იმოქმედოს.

მუსლიმებს არ შეშვენით ბოროტებას ზერელედ მოეკიდონ და უყურადღებოდ დატოვონ. მუსლიმები ვალდებულნი არიან ღმერ-

თის მიერ ნაბრძანები და შუამავლის მიერ ნაჩვენები გზით იარონ, რაც ამგვარ ქმედებებზე თვალის დახუჭვას არ გულისხმობს. მუსლიმები ყველა გაგებით შორს უნდა იდგნენ ყოველგვარი ბოროტებისა და სიყალბისაგან. მათი ყოველი საქმე ხარისხიანი და მართალი უნდა იყოს. ღმერთი ბრძანებს რომ მას უყვარს ასეთი ადამიანები და ჰპირდება რომ მათ უხვად დააჯილდობეს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ყურანში, სურა ალი იმრანის 133-136 აიათებში ნაბრძანებია შემდეგი:

“ესწრაფეთ მიტევებისკენ თქვენი ღმერთისგან და სამოთხეს, რომლის სივრცე ცანი და დედამიწაა, რომელიც გამზადებულია ღვთისმოშიშთათვის,

რომლებიც გასცემენ ჭირშიც და ლხინშიც, იოკებენ მრისხანებას, პატიობენ ხალხს. და ალლაჰს უყვარს კეთილისმქმნელნი!

ხოლო ისინი, რომელთაც ჩაიდინეს სიავე ან ავნეს საკუთარ თავს, გაიხსენონ ალლაჰი და მაშინვე შესთხოვონ პატიება (ჩადენილი) ცოდვებისათვის, და ვისდა ძალუძს მიუტევოს ცოდვები, თუ არა ალლაჰისა. და თუ შეგნებულად არ დაიჟინებენ იმას, რასაც ჩადიოდნენ,

აი, მათთვისაა საზღაური - მიტევება მათი უფლისგან და სამოთხეები, სადაც ძირს მდინარეები მოედინება, იქ დარჩებიან სამუდამოდ. და რა მშვენიერი საზღაურია (ჯილდოა) კეთილისმქმნელთათვის!